

# როგორ დავიწყო ბიზნესი?

გზამკვლევი



|                                                                                                                                               |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი .....                                                                                                                                | 4  |
| 1. ბიზნესის დაწყების 10 საფეხური .....                                                                                                        | 4  |
| 2. მეწარმე-სუბიექტად რეგისტრაცია .....                                                                                                        | 5  |
| • მეწარმე-სუბიექტთა უპირატესობები და ნაკლოვანებები.....                                                                                       | 6  |
| ინდივიდუალური მეწარმე .....                                                                                                                   | 6  |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება .....                                                                                                  | 6  |
| • რა დოკუმენტაცია მჭირდება მეწარმე იურიდიულ პირად რეგისტრაციისთვის? .....                                                                     | 7  |
| • რა დოკუმენტაცია მჭირდება ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის? .....                                                                      | 7  |
| 3. მიკრო და მცირე ბიზნესი .....                                                                                                               | 8  |
| • მიკრო ბიზნესი.....                                                                                                                          | 9  |
| ვის მივმართო მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად?.....                                                                                          | 9  |
| რა საქმიანობა შემიძლია განვახორციელო? .....                                                                                                   | 9  |
| რა საქმიანობებზე არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი? ..... | 9  |
| რა საქმიანობის განხორციელება მეკრძალება?.....                                                                                                 | 9  |
| • მცირე ბიზნესი .....                                                                                                                         | 9  |
| ვის მივმართო მცირე ბიზნესის სტატუსის მისაღებად?.....                                                                                          | 9  |
| როდის რეგისტრირდება მცირე ბიზნესი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად? .....                                                       | 9  |
| 4. რა სახის გადასახადებით ვიბეგრები?.....                                                                                                     | 10 |
| 5. რა საქმიანობისთვის მჭირდება ლიცენზია და ნებართვა?.....                                                                                     | 11 |
| 5.1 ლიცენზიები.....                                                                                                                           | 11 |
| • ვის მივმართო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად?.....                                                                     | 12 |
| • როგორ მივიღო ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია? .....                                                           | 13 |
| • როგორ გაიცემა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია? .....                                                                              | 15 |
| 5.2. ნებართვები .....                                                                                                                         | 16 |
| • როგორ ავიღო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა? .....                                                                | 17 |
| • როგორ მივიღო მშენებლობის ნებართვა თბილისში? .....                                                                                           | 18 |
| • ვის მივმართო სამგზავრო-სატვირთო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვისთვის?.....                                                                    | 19 |
| • ვის მივმართო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად?.....                                                                                | 20 |
| 6. როგორ ვაწარმოო ექსპორტ-იმპორტი? .....                                                                                                      | 21 |
| • რა არის სავაჭრო რეჟიმები? .....                                                                                                             | 21 |
| • როგორ რეგულირდება ექსპორტ-იმპორტი?.....                                                                                                     | 21 |
| ტარიფები იმპორტზე.....                                                                                                                        | 21 |
| ტარიფები ექსპორტზე .....                                                                                                                      | 21 |
| არასატარიფო შეზღუდვები.....                                                                                                                   | 21 |
| • რა ლიცენზიები და ნებართვები მჭირდება ექსპორტ-იმპორტის დროს?.....                                                                            | 22 |
| • რა სერტიფიკატები დამჭირდება ექსპორტის დროს და ვის მივმართო?.....                                                                            | 22 |
| • რა სახის წარმოშობის სერტიფიკატებს მივიღებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში? .....                               | 23 |
| 7. როგორ გამოვიყენო მეტროლოგია, სტანდარტები, შესაბამისობის შეფასება და აკრედიტაცია? .....                                                     | 25 |
| • მეტროლოგია .....                                                                                                                            | 25 |
| • სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები .....                                                                                                 | 25 |

|                                                                                                            |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| • შესაბამისობის შეფასება.....                                                                              | 26 |
| • აკრედიტაცია.....                                                                                         | 26 |
| 8. როგორ მივიღო შტრიხ-კოდი? .....                                                                          | 27 |
| • რა არის GS1 სტანდარტი? .....                                                                             | 27 |
| • რაში გვეხმარება GS1 სტანდარტები?.....                                                                    | 27 |
| • ვის მივმართო შტრიხ-კოდის მისაღებად?.....                                                                 | 27 |
| • როგორ გავწევრიანდე GS1-ში?.....                                                                          | 27 |
| • რა საქმიანობებს მოიცავს GS1 სტანდარტების შტრიხ-კოდები? .....                                             | 28 |
| 9. როგორ მივიღო პატენტი? .....                                                                             | 29 |
| • რა არის პატენტი და ვის მივმართო პატენტის მისაღებად? .....                                                | 29 |
| • რაზე გაიცემა პატენტი? .....                                                                              | 29 |
| • როგორ გამოგონებას იცავს პატენტი?.....                                                                    | 29 |
| • რა არის გამოგონება და სასარგებლო მოდელი?.....                                                            | 29 |
| • როგორ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე არ გაიცემა პატენტი? .....                                       | 30 |
| • რა არის ინტელექტუალური საკუთრება?.....                                                                   | 30 |
| • რა არის საპატენტო უფლებები? .....                                                                        | 30 |
| • რა პროცედურებს ითვალისწინებს პატენტის გაცემა? .....                                                      | 30 |
| • როგორ მივიღო პატენტი საზღვარგარეთ?.....                                                                  | 31 |
| • როგორია ”საქპატენტის” მომსახურების საფასური? .....                                                       | 31 |
| 10. რას ნიშნავს სურსათის უვნებლობა? .....                                                                  | 32 |
| • როგორ მივიღო ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებართვები?.....                  | 32 |
| • როგორ დავარეგისტრირო ვეტ-პრეპარატები? .....                                                              | 33 |
| • როგორ დავარეგისტრირო პესტიციდები? .....                                                                  | 33 |
| • როგორია სააგენტოს მომსახურების (ნებართვები, სერტიფიკატები, რეგისტრაცია და სხვა) ვადები და საფასური?..... | 34 |
| 11. როგორ შევადგინო ბიზნეს-გეგმა? .....                                                                    | 35 |
| • რისთვის არის საჭირო ბიზნეს-გეგმა? .....                                                                  | 35 |
| • როგორი უნდა იყოს ბიზნეს-გეგმა? .....                                                                     | 35 |
| • როგორია ბიზნეს-გეგმის ზოგადი სტრუქტურა?.....                                                             | 36 |
| 12. სად და როგორ მოვიძიო ფულადი რესურსი ბიზნესის დაწყების ან გაფართოებისთვის? .....                        | 45 |
| • დონორი ორგანიზაციები.....                                                                                | 45 |
| • საქართველოში ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკები.....                                               | 46 |
| • საფინანსო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.....                                                           | 47 |
| • ბიზნეს-საკონსულტაციო და ტრენინგ-ცენტრები .....                                                           | 49 |
| 13. საგადასახადო ორგანოები .....                                                                           | 53 |
| 14. წარმატებული მეწარმეები.....                                                                            | 54 |
| შპს ”მესხეთი 95” .....                                                                                     | 54 |
| შპს ”რანდი” .....                                                                                          | 54 |
| შპს ”მუხმან ვაინს ჯორჯია”.....                                                                             | 55 |

ეს გზამკვლევი გაგიწევთ დახმარებას თუ გსურთ ბიზნესის წამოწყება, ან უკვე გაქვთ საკუთარი ბიზნესი და გსურთ მისი გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება.

ამ გზამკვლევის საშუალებით თქვენ მიიღებთ ინფორმაციას ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. კერძოდ, სად და როგორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ საწარმო; რა გადასახადებით დაიბეგრებით და როგორია მათი განაკვეთები; რა სახის ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები დაგჭირდებათ ბიზნეს-საქმიანობისათვის; როგორ უნდა შეადგინოთ ბიზნეს-გეგმა, რა ძირითად საკითხებს მოიცავს იგი და როგორია მისი ზოგადი სტრუქტურა; როგორ მოიძიოთ ფულადი რესურსები და როგორ მიიღოთ ბიზნეს-კონსულტაციები. ასევე, რომელ უწყებას უნდა მიმართოთ თქვენთვის საჭირო სხვადასხვა მომსახურების მისაღებად და რა პროცედურების გავლაა საჭირო.

ამ გზამკვლევის დახმარებით თქვენ მიიღებთ საჭირო ინფორმაციას და დაზოგავთ დროსა და ენერგიას.

## 1. ბიზნესის დაწყების 10 საფეხური

1. მოახდინეთ ბაზრის მარტივი ანალიზი
2. განსაზღვრეთ რა სახის პროდუქტის/მომსახურების შეთავაზება შეგიძლიათ მომხმარებლისთვის და ვინ იქნება თქვენი პოტენციური მომხმარებელი
3. სწორად შეაფასეთ თქვენი პოზიციები ბაზარზე და კონკურენტები
4. დაამყარეთ ურთიერთობა პროფესიონალებთან
5. შეისწავლეთ სამართლებრივი გარემო
6. შეაფასეთ თქვენი ბიზნესის მომგებიანობა
7. სწორად შეაფასეთ თქვენი წარმატების ძირითადი ფაქტორები
8. შეადგინეთ ბიზნეს-გეგმა
9. მოიძიეთ ფინანსური რესურსი
10. დააფუძნეთ საწარმო

დაფიქრდით, აქვს თქვენ ბიზნესს განვითარების პოტენციალი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს ბროშურა იქნება თქვენი გზამკვლევი ბიზნესის სფეროში წარმატების მისაღწევად.

## 2. მეწარმე-სუბიექტად რეგისტრაცია

მეწარმე-სუბიექტად დარეგისტრირება არის აუცილებელი პროცედურა ბიზნესის (სამეწარმეო საქმიანობის) დასაწყებად. საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირება მარტივ პროცედურებთანაა დაკავშირებული და ამისათვის მხოლოდ ერთი დღეა საჭირო. იმისათვის, რომ დაარეგისტრიროთ ბიზნესი, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ მეწარმე-სუბიექტის ფორმა, რომელიც სხვადასხვაგვარია და ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი შინაარსით, ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებით.

როგორ დავრეგისტრირდე მეწარმე-სუბიექტად?

- ✓ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია სავალდებულოა და მას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**;
- ✓ მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის მიღება შესაძლებელია სააგენტოს ვებ-გვერდიდანაც;
- ✓ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, ისევე როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან სხვა ნებისმიერ ელექტრონულად მიღებულ დოკუმენტს, გააჩნია სრული იურიდიული ძალა, მიუხედავად იმისა, რომ არ ახლავს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი.

| მეწარმე სუბიექტები                            | რეგისტრაციის ღირებულება და ვადები |                          | ქონებრივი პასუხისმგებლობა                                                                                                                                                                                      |
|-----------------------------------------------|-----------------------------------|--------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                               | ჩვეულებრივი (ერთ სამუშაო დღეში)   | დაჩქარებული (იმავე დღეს) |                                                                                                                                                                                                                |
| ინდივიდუალური მეწარმე <sup>1</sup>            | 20 ლარი                           | 50 ლარი                  | სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით                                                                                           |
| <b>იურიდიული პირები</b>                       |                                   |                          |                                                                                                                                                                                                                |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) | 100 ლარი                          | 200 ლარი                 | პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ                                                                                       |
| კომანდიტური საზოგადოება (კს)                  | 100 ლარი                          | 200 ლარი                 | საზოგადოების პარტნიორთა ნაწილი - კომანდიტები - საზოგადოების ვალდებულებებისთვის პასუხს აგებენ შეზღუდულად, ხოლო პარტნიორთა ნაწილი - კომპლემენტარები - პასუხს აგებენ სრულად, მთელი ქონებით პირადად და შეუზღუდავად |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)  | 100 ლარი                          | 200 ლარი                 | პარტნიორთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების კაპიტალში განხორციელებული შენატანის პროპორციულად                                                                                                         |
| სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)          | 100 ლარი                          | 200 ლარი                 |                                                                                                                                                                                                                |
| კოოპერატივი                                   | 100 ლარი                          | 200 ლარი                 |                                                                                                                                                                                                                |

<sup>1</sup> ინდემეწარმე არ არის იურიდიული პირი

მისამართი:  
საჯარო რეესტრი  
საქართველო, 0102 თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის №2  
ვებ-გვერდი: [www.house.gov.ge](http://www.house.gov.ge)  
[www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)  
ელ-ფოსტა: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

• მეწარმე-სუბიექტთა უპირატესობები და ნაკლოვანებები

**ინდივიდუალური მეწარმე**

ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის (ან ოჯახის) მფლობელობაში არსებული საწარმო. ასეთ საწარმოში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ დასაქმებულები.

ინდივიდუალური საწარმოს მაგალითებია: საცალო ვაჭრობა (მცირე ზომის მაღაზია), მცირე მოცულობის სატრანსპორტო ან სამგზავრო გადაზიდვები, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილად ითვლება მისი ეკონომიკური საქმიანობის ადგილი. ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციას აქვს როგორც უპირატესობები, ისე ნაკლოვანებებიც.

| უპირატესობები                                                                                                                                                                                                                                              | ნაკლოვანებები                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• საქმის დაწყება მარტივია, არ არის საჭირო წესდება და სხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენა</li> <li>• სრულიად დამოუკიდებელია საქმიანობის განხორციელების პროცესში</li> <li>• მთელი მოგება მფლობელს ეკუთვნის</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• მფლობელს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ბიზნეს-ვალებზე</li> <li>• ბიზნესში ყველა დეტალს თავად მართავს, რაც არ არის მარტივი და შესაძლოა წარმოიშვას პრობლემები</li> <li>• მოითხოვს დიდ დროსა და ენერჯიას, მეწარმე მუდმივად კონცენტრირებულია ბიზნესზე</li> </ul> |

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იურიდიული პირია. მისი წევრები საზოგადოების მიერ აღებულ ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საზოგადოების კაპიტალში თავიანთი შენატანის ფარგლებში, ხოლო თავად საზოგადოება მესამე პირების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. შპს ეს არის ერთი ან რამდენიმე პირის მიერ დაფუძნებული კომერციული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საწესდებო კაპიტალი. მცირე სასტარტო კაპიტალითაც შესაძლებელია ბიზნეს-საქმიანობის დაწყება.

| უპირატესობები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       | ნაკლოვანებები                                                                                                                                                                                                                                 |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• მესაკუთრეების პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათი შენატანებით. მათი სხვა ქონება ხელშეუხებელია</li> <li>• კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის უფრო სანდოა, ვიდრე „ინდემწარმე“</li> <li>• უფრო ადვილად შეუძლია საბანკო კრედიტის აღება, ვიდრე „ინდემწარმეს“</li> <li>• ფირმის ფუნქციონირების ხარჯები ნაკლებია, ვიდრე „სააქციო საზოგადოების“ შემთხვევაში</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ფორმირებისა და ფუნქციონირების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე „ინდემწარმის“ შემთხვევაში</li> <li>• წილის გასხვისება (გაყიდვა) უფრო რთული და ხარჯიანია, ვიდრე „სააქციო საზოგადოების“ შემთხვევაში</li> </ul> |

• რა დოკუმენტაცია მჭირდება მეწარმე იურიდიულ პირად რეგისტრაციისთვის?

საწარმოს რეგისტრაციისას **საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს** უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული **სარეგისტრაციო განაცხადი**, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ✓ საწარმოს სახელწოდება;
- ✓ საწარმოს სამართლებრივი ფორმა და იურიდიული მისამართი;
- ✓ საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;
- ✓ საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო **შპს ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში** – მონაცემები შპს-ის პარტნიორთა/კომანდიტთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ;
- ✓ **კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში** – რომელი პარტნიორია შეზღუდული (კომანდიტი) და რომელი – სრული (კომპლემენტარი);
- ✓ **შპს-ის ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში** – შპს-ის პარტნიორთა და კს-ის კომანდიტთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები;
- ✓ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- ✓ გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირის - პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- ✓ თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე რამდენიმე უფლებამოსილი პირი ჰყავს – ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე;
- ✓ წესდების საჭიროების შემთხვევაში, მისი ფორმის მოძიება შეიძლება საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე.

• რა დოკუმენტაცია მჭირდება ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის?

ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგენს პირადობის **დამადასტურებელ მოწმობას** და **განცხადებას**, რომელშიც უნდა მიეთითოს:



- განმცხადებლის სახელი, პირადი ნომერი და ხელმოწერა;
- ინფორმაცია საწარმოს ადგილ-სამყოფელის შესახებ;
- განცხადების შევსების თარიღი.

### 3. მიკრო და მცირე ბიზნესი<sup>2</sup>



ახალი საგადასახადო კოდექსით, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე ვრცელდება სპეციალური - შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები. მიკრო ბიზნესი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, ხოლო მცირე ბიზნესი სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით.

| მიკრო ბიზნესი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                | მცირე ბიზნესი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>რა პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსისთვის?</b>                                                                                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება <b>30</b> ათას ლარს.</li> </ul>                                                                 | <ul style="list-style-type: none"> <li>მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება <b>100</b> ათას ლარს.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <b>რა გადასახადებით დაიბეგრები?</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს;</li> <li>ამ სტატუსის მქონე პირები საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლებიან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.</li> </ul>                       | <ul style="list-style-type: none"> <li>მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება <b>5%-ით</b>;</li> <li>მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება <b>3%-ით</b>, თუ:                         <ul style="list-style-type: none"> <li>– მცირე მეწარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები;</li> <li>– მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე.</li> </ul> </li> </ul> |
| <b>რა შემთხვევაში უქმდება სტატუსი?</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში აღემატება <b>30</b> ათას ლარს, გარდა საქართველოს მთავრობის 415 დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისებისა;</li> <li>თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45 ათას ლარს.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში აღემატება <b>100</b> ათას ლარს;</li> <li>თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 ათას ლარს;</li> <li>თუ მეწარმე ფიზიკურ პირს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებლობისათვის კალენდარული წლის განმავლობაში 3-ჯერ დაეკისრა სანქცია.</li> </ul>                                                                                                        |
| <b>რა უნდა გავითვალისწინო?</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>პირებს ეკრძალებათ ლიცენზირებადი ან სანებართვო საქმიანობები, სავალუტო ოპერაციების განხორციელება, სამედიცინო, საადვოკატო ან სანოტარო, აუდიტორული საქმიანობა, საკონსულტაციო, სათამაშო ბიზნესი, ვაჭრობა.</li> </ul>                                                                                       | <ul style="list-style-type: none"> <li>აკრძალული საქმიანობები - იგივე, რაც მიკრო ბიზნესზე + აქციზური საქონლის წარმოება, პერსონალით უზრუნველყოფა;</li> <li>მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი არ აღრიცხავს შემოსავლებს/ხარჯებს, გარდა ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალისა (მათ შორის, ელექტრონული ფორმით).</li> </ul>                                                                                                                                                                                                      |

<sup>2</sup> საქართველოს კანონი "საგადასახადო კოდექსი"

- **მიკრო ბიზნესი**

**ვის მივმართო მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად?**

ფიზიკურმა პირმა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მისაღებად, უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს საცხოვრებელი ან საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

**რა საქმიანობა შემიძლია განვახორციელო?**

დასაშვებია შესყიდული საქონლის გადამუშავება და რეალიზაცია. მაგალითად:

- ტანსაცმლის ხელით ქსოვა;
- ჩურჩხელის წარმოება;
- საკონდიტრო ნაწარმის ცხობა;
- ტყლაპისა და ჩირის წარმოება;
- ხისა და თიხის მასალისგან ხელით დამზადებული ნაკეთობების (მაგ: ქოთნები, კალათები და ა.შ.) წარმოება;
- საკუთარი ავტომობილით მომსახურების გაწევა და სხვა საქმიანობა.

**რა საქმიანობებზე არ ვრცელდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისათვის დადგენილი ერთობლივი შემოსავლის 30 000-ლარიანი ზღვარი?**

- ხის სხვადასხვა ნაწარმის წარმოება;
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის რემონტი;
- საყოფაცხოვრებო ელექტრონული ნაწარმის რემონტი;
- საათებისა და საიუველირო ნაწარმის რემონტი;
- ცოცხებისა და ჯაგრისების წარმოება და სხვა.

**რა საქმიანობის განხორციელება მეკრძალება?**

- საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;
- სავალუტო ოპერაციების განხორციელება;
- სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო საქმიანობა;
- სათამაშო ბიზნესი;
- ვაჭრობა (გარდა ის შემთხვევა, როდესაც ხორციელდება შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება);

- **მცირე ბიზნესი**

**ვის მივმართო მცირე ბიზნესის სტატუსის მისაღებად?**

ფიზიკურმა პირმა, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების მიზნით, უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

**როდის რეგისტრირდება მცირე ბიზნესი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად?**

მცირე მეწარმე, რომლის წლიური ბრუნვა აღემატება 100 ათას ლარს, ვალდებულია დარეგისტრირდეს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად და გამოდის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე შეიტანოს ბიუჯეტში.

## 4. რა სახის გადასახადებით ვიბეგრები?<sup>3</sup>

|   | გადასახადის სახეები                     | განაკვეთები                                                                                                                                                                                                                                                                                                          | გადასახადისგან გათავისუფლება                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|---|-----------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1 | საშემოსავლო გადასახადი                  | <ul style="list-style-type: none"> <li>• იბეგრება 20%-ით</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                  | <ul style="list-style-type: none"> <li>• მიკრო ბიზნესი</li> <li>• 2014 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, ასევე აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში დაქირავებულისათვის გაცემული ანაზღაურება.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| 2 | მოგების გადასახადი                      | <ul style="list-style-type: none"> <li>• იბეგრება 15%-ით</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                  | <ul style="list-style-type: none"> <li>• 2014 წლის 1 იანვრამდე პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში აღნიშნული მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;</li> <li>• 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება;</li> <li>• ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მიწის ნაკვეთის (ნაკვეთების) ღირებულება;</li> <li>• ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება;</li> <li>• სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის შემოსავალი, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში.</li> </ul>                                                                                                                                                             |
| 3 | დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) | <ul style="list-style-type: none"> <li>• იბეგრება 18%-ით</li> <li>• უკუდაბეგრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18%</li> <li>• საქონლის დროებითი შემოტანისას სატარიფო ღირებულების 0.54%</li> </ul>                                                                                                                  | <p>საქართველოს კანონის "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 168-ე მუხლი განსაზღვრავს დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლების სახეებს, მათ შორის: საქონლის მიწოდებას ან/და მომსახურების გაწევას, საქონლის იმპორტს, ტრანზიტს და სხვა.</p> <p><b>შენიშვნა:</b> კანონი იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="http://www.economy.gov.ge">www.economy.gov.ge</a></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| 4 | აქციზი                                  | აქციზური საქონელი იბეგრება აქციზის სხვადასხვა განაკვეთებით                                                                                                                                                                                                                                                           | <p>საქართველოს კანონის "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 194-ე მუხლი განსაზღვრავს აქციზის გადასახადისგან გათავისუფლების სახეებს.</p> <p><b>შენიშვნა:</b> კანონი იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="http://www.economy.gov.ge">www.economy.gov.ge</a></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| 5 | იმპორტის გადასახადი                     | საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის 0%, 5% ან 12%-იანი განაკვეთით                                                                                                                                                                                                                                                 | <p>საქართველოს კანონის "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 199-ე მუხლი განსაზღვრავს იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების სახეებს.</p> <p><b>შენიშვნა:</b> კანონი იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <a href="http://www.economy.gov.ge">www.economy.gov.ge</a></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| 6 | ქონების გადასახადი                      | <ul style="list-style-type: none"> <li>• დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1%-ის ოდენობით;</li> <li>• 100 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის. – არანაკლებ 0.05% და არა უმეტეს 0.2%;</li> <li>• 100 ათასი ლარის, ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – არანაკლებ 0.8% და არა უმეტეს 1%.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 ათას ლარს.</li> <li>• ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;</li> <li>• ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;</li> <li>• 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;</li> <li>• საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება;</li> <li>• სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მიწისა;</li> <li>• 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება.</li> </ul> |

<sup>3</sup> კანონი "საქართველოს საგადასახადო კოდექსი".

## 5. რა საქმიანობისთვის მჭირდება ლიცენზია და ნებართვა?

ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვება საჭიროა ისეთი საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან.

### 5.1 ლიცენზიები

არსებობს ლიცენზიების შემდეგი სახეები:

- ✓ **საქმიანობის ლიცენზია** - ლიცენზიის სახეობა, რომელიც საჭიროა კანონით ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განსახორციელებლად. საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მამდიბლის მიერ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ და უკავშირდება **სუბიექტს**. საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით ან სხვა სახით გადაცემა დაუშვებელია;
- ✓ **სარგებლობის ლიცენზია** - ლიცენზიის სახეობა, რომელიც საჭიროა სახელმწიფო რესურსებით სარგებლობისათვის (მაგ: სასარგებლო წიაღისეული, ხე-ტყე, მიწისქვეშა რესურსი და სხვა). სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით და უკავშირდება **ობიექტს**. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია დაყოს სარგებლობის ლიცენზია ან/და მთლიანად ან ნაწილი გადასცეს სხვა პირს, მათ შორის, მემკვიდრეობით;
- ✓ **გენერალური ლიცენზია** - უფლება, როდესაც პირს შეუძლია ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე განახორციელოს მსგავსი ტიპის საქმიანობები და ვალდებული არ არის ცალ-ცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია;
- ✓ **სპეციალური ლიცენზია** - უფლება, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს ლიცენზირებადი საქმიანობის რომელიმე ვიწრო საქმიანობა ისე, რომ არ მოიპოვოს საქმიანობათა უფრო ფართო წრის მარეგულირებელი ლიცენზია.

| საქმიანობის ლიცენზიის ზოგიერთი სახეები |                                                                                                                   | სარგებლობის ლიცენზიის ზოგიერთი სახეები |                                                                                                                                             |
|----------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1                                      | ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოება                                                     | 9                                      | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება                                                                                                             |
| 2                                      | მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საადმინისტრაციო საქმიანობა              | 10                                     | ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობა                                              |
| 3                                      | ბუნებრივი გაზის და ნავთობის ტრანსპორტირება, დამუშავება/გადამუშავება, ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის განაწილება | 11                                     | ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია <ul style="list-style-type: none"> <li>- ხე-ტყის დამზადება</li> <li>- სამონადირეო მეურნეობა</li> </ul> |
| 4                                      | კერძო დაცვითი საქმიანობა                                                                                          | 12                                     | თევზჭერა                                                                                                                                    |
| 5                                      | ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება                                                                                  | 13                                     | მიწისქვეშა სივრცის გამოყენება                                                                                                               |
| 6                                      | დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადება, შექმნა, იმპორტი ან ექსპორტი                                       | 14                                     | ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია                                                                               |
| 7                                      | საბანკო და არასაბანკო-სადეპოზიტო - საკრედიტო საქმიანობა                                                           | 15                                     | ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია                                                                                                    |
| 8                                      | კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობა                                                                               | 16                                     | რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია                                                                                                |

• ვის მივმართო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად?



მისამართი:  
სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო  
საქართველო, 0114 თბილისი, გულუას ქ. №6  
ტელ: (+995 32) 272 72 87  
(+995 32) 235 78 28  
ვებ-გვერდი: [www.menr.gov.ge](http://www.menr.gov.ge)  
ელ-ფოსტა: [mail@menr.gov.ge](mailto:mail@menr.gov.ge)

- როგორ მივიღო ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია?

### ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის გაცემის წესი

- ✓ ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიას გასცემს ბუნებრივი რესურსების სააგენტო ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში;
- ✓ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის იდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები;
- ✓ ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესებსა და პროცედურას განსაზღვრავს სააგენტო და ერთი თვით ადრე ატარებს რეგისტრაციაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

### ტენდერის ჩატარების შემთხვევაში

- ✓ გამარჯვებულად ითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნებს;
- ✓ ინვესტორის ტენდერში გამარჯვებიდან ერთი თვის განმავლობაში იწყება მოლაპარაკება სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით;
- ✓ ინვესტორი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.

### ხელშეკრულების ძირითადი ფორმებია

- ✓ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება;
- ✓ სარისკო მომსახურების ხელშეკრულება;
- ✓ მომსახურების ხელშეკრულება.

ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის შესაბამისი ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 25 წელი.

გარდა ნავთობისა და გაზის რესურსების სარგებლობის გენერალური ლიცენზიისა, ბუნებრივი რესურსების სააგენტო ნავთობისა და გაზის სფეროში გასცემს საქმიანობის ლიცენზიას, რომელიც ადასტურებს პირის უფლებას განახორციელოს ნავთობისა და გაზის დამუშავება, ბუნებრივი გაზის დამუშავება, ნავთობის ტრანსპორტირება ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

### საქმიანობის ლიცენზიისათვის

- ✓ სააგენტო ნორმატიული აქტით ამტკიცებს განაცხადის ფორმას;
- ✓ ლიცენზიის შინაარსსა და შესაბამისი საქმიანობის ზოგად პირობებს.

### საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

- ✓ პირი, განაცხადით მიმართავს სააგენტოს.  
საქმიანობის ლიცენზიის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს.

### საქმიანობის ლიცენზიის ექვემდებარება

- ✓ ნავთობის გადამუშავება;
- ✓ ბუნებრივი გაზის დამუშავება;
- ✓ ნავთობის ტრანსპორტირება;
- ✓ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

მისამართი:

სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო  
საქართველო, 0114 თბილისი, გულუას ქ. №6  
ტელ: (+995 32) 272 72 87  
(+995 32) 235 78 28

ვებ-გვერდი: [www.menr.gov.ge](http://www.menr.gov.ge)

ელ-ფოსტა: [mail@menr.gov.ge](mailto:mail@menr.gov.ge)

• როგორ გაიცემა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია?

ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზის რესურსების) სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით.

| აუქციონის გამოცხადების მსურველმა უნდა წარმოადგინოს                                                                                                  |                                                                                                                                                                                                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1) განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს მოსაპოვებელი რესურსის სახეობის, ოდენობის, ადგილმდებარეობისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის შესახებ. | 3) კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა და ინდივიდუალურმა მეწარმემ - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკურმა პირმა - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. |
| 2) სალიცენზიო ობიექტის X და Y კოორდინატები.                                                                                                         | 4) განცხადებით გათვალისწინებული ტერიტორიის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში - კერძო საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და მესაკუთრის თანხმობა ლიცენზიის გაცემის თაობაზე.              |

| აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს                                                                                                                                                                                                                             |                                                             |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|
| 1) განცხადება.                                                                                                                                                                                                                                                                       | 3) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. |
| 2) კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა და ინდივიდუალურმა მეწარმემ სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ფიზიკურმა პირმა - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები. | 4) ბეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.                    |

მისამართი:  
 სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო  
 საქართველო, 0114 თბილისი, გულუას ქ. №6  
 ტელ: (+995 32) 272 72 87  
 (+995 32) 235 78 28  
 ვებ-გვერდი: [www.menr.gov.ge](http://www.menr.gov.ge)  
 ელ-ფოსტა: [mail@menr.gov.ge](mailto:mail@menr.gov.ge)

## 5.2. ნებართვები

ნებართვა გაიცემა სახელმწიფოს მიერ რეგულირებული საქმიანობისთვის და უკავშირდება კონკრეტულ ობიექტს.

| ნებართვის სახეები |                                                                                                                                                                                                                                                  |
|-------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1                 | ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის, იმპორტის, ასევე ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა                                                                           |
| 2                 | საერთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა, საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა                                                                                                                                                        |
| 3                 | გარემოზე ზემოქმედება                                                                                                                                                                                                                             |
| 4                 | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოები                                                                                                                                                                                                        |
| 5                 | ფარმაცოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევა                                                                                                                                                                                                       |
| 6                 | <ul style="list-style-type: none"> <li>- თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა</li> <li>- საწყობის (ღია ან დახურული) საქმიანობა</li> <li>- თავისუფალი საწყობის საქმიანობა</li> </ul>                                                            |
| 7                 | მშენებლობა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა                                                                                                                                                                                  |
| 8                 | აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, კაზინოების მოწყობა                                                                                                                                                                                      |
| 9                 | არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა                                                                                                                                                                                                                |
| 10                | ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა                                                                                                                                                                                              |
| 11                | ფარმაცევტული წარმოება                                                                                                                                                                                                                            |
| 12                | „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქცია |
| 13                | სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტი ან ექსპორტი                                                                                                                                                                  |
| 14                | არაიოდიზებული მარილის იმპორტი                                                                                                                                                                                                                    |
| 15                | ტირის, სასროლეთის, სასროლო-სანადირო სტენდის გახსნა და მოწყობა                                                                                                                                                                                    |
| 16                | იარაღის კოლექციონირება და ექსპონირება                                                                                                                                                                                                            |
| 17                | შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოება, ტრანსპორტირება, იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი                                                                                                                                                |
| 18                | ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი                                                                                                                                                                         |
| 19                | საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანა                                                                                                                                                                                            |
| 20                | ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა                                                                                                                                                                                                                   |
| 21                | სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენება                                                                                                                                                                                           |
| 22                | გარე რეკლამის განთავსება                                                                                                                                                                                                                         |

**• როგორ ავიღო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა?**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია** გასცემს შემდეგი სახის ნებართვებს:

- ✓ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვა;
- ✓ სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა.

**I სტადია:** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება (აგდ);

**II სტადია:** პროექტის შეთანხმება;

**III სტადია:** მშენებლობის ნებართვის გაცემა.

*რა ოდენობისაა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი?*

| მოსაკრებელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების, მათ რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვაზე (სახაზინო კოდი 3XXXX3091) |                                 |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|
| ობიექტის ღირებულება                                                                                                                        | მოსაკრებელი                     |
| 500 ათას ლარამდე ღირებულების ობიექტი                                                                                                       | 1 000 ლარი + ღირებულების 0,5%   |
| 500 ათასიდან 1 მილიონ ლარამდე ღირებულების                                                                                                  | 8 000 ლარი                      |
| 1 მილიონიდან 3 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი                                                                                          | 14 000 ლარი                     |
| 3 მილიონიდან 5 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი                                                                                          | 19 000 ლარი                     |
| 5 მილიონიდან 10 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი                                                                                         | 24 000 ლარი                     |
| 10 მილიონზე მეტი ღირებულების ობიექტი                                                                                                       | 24 000 ლარი + ღირებულების 0,01% |

მისამართი:  
 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
 სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია  
 საქართველო, 0108 თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა №12  
 ტელ: (+ 995 32) 299 10 44  
 (+ 995 32) 299 11 13  
 ელ-ფოსტა: [g.barkaia@economy.ge](mailto:g.barkaia@economy.ge)

**• როგორ მივიღო მშენებლობის ნებართვა თბილისში?**

თუ თქვენ თბილისში მშენებლობის დაწყება გსურთ, უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - **თბილისის არქიტექტურის სამსახურს**. მშენებლობის ნებართვის გაცემა მოიცავს სამ ეტაპს:

**I ეტაპი**  
**მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა (გაპი)**  
 თბილისის არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება, სადაც მითითებულია რა ფუნქციის შენობის მშენებლობას აპირებთ;
2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ – ფართობი, მისამართი, საკადასტრო კოდი, მესაკუთრე;
3. სიტუაციური გეგმა ან აეროფოტო გადაღება, მასშტაბით 1:2000
4. ტოპოგრაფიული რუკა, მასშტაბით 1:500;
5. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

**II ეტაპი**  
**პროექტის შეთანხმება**  
 თბილისის არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება, პროექტის შეთანხმების მოთხოვნით;
2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკა ან გეგმა;
3. ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები;
4. შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი.

• პირველი ეტაპის საქმის წარმოების ვადა მოიცავს **15 სამუშაო დღეს** და მიიღებთ ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ადმინისტრაციულ აქტს.

• მეორე ეტაპის საქმის წარმოების ვადა მოიცავს **20 სამუშაო დღეს** და მიიღებთ პროექტის შეთანხმების ადმინისტრაციულ აქტს.

**III ეტაპი**  
**მშენებლობის ნებართვის გაცემა**  
 თბილისის არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება, მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით;
2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შესახებ ინფორმაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
3. საინფორმაციო დაფის (ბანერი) ფოტო სურათი;
4. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
5. ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები;
6. პროექტის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები;
7. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი;

**დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს თითოეულ ეტაპზე სათითაოდ, ან სამივე ეტაპზე ერთად, ან მეორე და მესამე ეტაპზე ერთად.**

**თითოეული ეტაპის საქმის წარმოების ვადებთან დაკავშირებით თბილისის არქიტექტურის სამსახური გთავაზობთ დაჩქარებულ მომსახურებას. ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.**

მესამე ეტაპის საქმის წარმოების ვადა მოიცავს **10 სამუშაო დღეს** და მიიღებთ მშენებლობის ნებართვის ადმინისტრაციულ აქტს.

მისამართი:  
 თბილისის მერია  
 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახური  
 საქართველო, თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა №7  
 ტელ: (ცხელი ხაზი) (+ 995 32) 272 22 22  
 ვებ-გვერდი: [architect.tbilisi.gov.ge](http://architect.tbilisi.gov.ge)  
 ელ-ფოსტა: [architect@tbilisi.gov.ge](mailto:architect@tbilisi.gov.ge)

• ვის მიემართო სამგზავრო-სატვირთო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვისთვის?

ნებართვებს გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

| № | ნებართვის სახე                                                                                                                                                                                     | საჭირო დოკუმენტაცია                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    | მომსახურების ვადა      |
|---|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------|
| 1 | საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანის ნებართვა                                                                                                        | <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის საბუთის ასლი და მათი გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში;</li> <li>• შესაბამისი კატეგორიის მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;</li> <li>• ინფორმაცია სვლაგეზის, მოძრაობის განრიგის, ტარიფების, გასაჩერებელი პუნქტების, სადაც გადამზიდველი განახორციელებს მგზავრების ჩასხდომას და გადმოსხდომას და მგზავრთა მოსალოდნელი გადაყვანის პერიოდულობის შესახებ;</li> <li>• კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის - სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი.</li> </ul> | 20 სამუშაო დღის ვადაში |
| 2 | ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი ნებართვა                                                                                                                            | <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის საბუთის ასლი და მისი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში;</li> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიკატის ასლი;</li> <li>• კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის - სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი.</li> </ul>                                                                                                                                                                             | სხვადასხვა             |
| 3 | საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განსახორციელებლად განკუთვნილი (კვოტის ფარგლებში) ნებართვა                                                                                            | <ul style="list-style-type: none"> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის საბუთის ასლი და მისი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში;</li> <li>• შესაბამისი კატეგორიის მძღოლის/ების მართვის მოწმობის ასლი;</li> <li>• კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის - სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                       | 20 სამუშაო დღის ვადაში |
| 4 | საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი კვოტის ზევით), რომელიც ხორციელდება უცხო ქვეყნის გადამზიდველის მიერ | <ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისი კატეგორიის მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;</li> <li>• სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (ქვითარი).</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | 2 სამუშაო დღის ვადაში  |

მისამართი:  
 სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო  
 საქართველო, 0171 თბილისი, დოლიძის ქუჩა №2  
 ტელ: (+ 995 32) 236 55 04  
 (+ 995 32) 251 06 71  
 ვებ-გვერდი: [www.lta.gov.ge](http://www.lta.gov.ge)  
 ელ-ფოსტა: [chancellery@lta.gov.ge](mailto:chancellery@lta.gov.ge)

- ვის მივმართო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად?

საქართველოს გარემოს დაცვის  
სამინისტროს

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად თქვენ გჭირდებათ:

- ✓ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადება;
- ✓ განაცხადის გამოქვეყნება ცენტრალურ და ადგილობრივ (თუ ასეთი არსებობს) გაზეთებში "გზშ" ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ;
- ✓ საჯარო განხილვის მოწყობა;
- ✓ განაცხადის წარდგენა გარემოს დაცვის სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად.

„გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (გზშ) - ეს არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლა, თუ როგორია მისი პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ისტორიულ ძეგლებზე და სხვა ფაქტორებზე.

გზშ ანგარიში მზადდება ინვესტორის ან ინვესტორის მიერ დაქირავებული გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ფირმის მიერ. ინვესტორმა უნდა მოაწყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, სადაც საზოგადოებას გააცნობს გეგმებს, რის გაკეთებას აპირებს და როგორ აპირებს. ყველა გამოთქვამს თავის აზრს. დისკუსიის შედეგები აისახება ოქმში.

მისამართი:

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო  
საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. №6

ტელ: (+995 32) 272 72 24;

(+995 32) 272 72 34.

ვებ-გვერდი: [www.moe.gov.ge](http://www.moe.gov.ge)

ელ-ფოსტა: [press@moe.gov.ge](mailto:press@moe.gov.ge)

## 6. როგორ ვაწარმოო ექსპორტ-იმპორტი?

საგარეო ვაჭრობა, ისე როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

### • რა არის სავაჭრო რეჟიმები?

სავაჭრო რეჟიმი არის ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სავაჭრო ურთიერთობა. სავაჭრო რეჟიმი ხელს უწყობს ან პირიქით, ზღუდავს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას. არსებობს სავაჭრო რეჟიმის შემდეგი სახეები:

- ჩვეულებრივი ვაჭრობა - ქვეყნებს შორის არ არსებობს არანაირი სავაჭრო პრეფერენციები (შეღავათები);
- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most Favored Nation – (MFN)) - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან არსებული სავაჭრო რეჟიმი, რაც გულისხმობს თანაბარ პირობებს ყველა წევრისთვის;
- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences – (GSP)) - სავაჭრო რეჟიმი, როდესაც განვითარებული ქვეყნები განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ცალმხრივად ანიჭებენ სავაჭრო შეღავათებს.
- თავისუფალი ვაჭრობა - ორი ან მეტი ქვეყანა თანხმდება ურთიერთვაჭრობისას არ გამოიყენონ საბაჟო-საიმპორტო ტარიფები, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა.

### • როგორ რეგულირდება ექსპორტ-იმპორტი?

#### ტარიფები იმპორტზე

- საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. იმპორტის გადასახადის განაკვეთები განისაზღვრება 0%, 5% და 12%-ით.

#### ტარიფები ექსპორტზე

- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან. ექსპორტი საქართველოდან არ იბეგრება დღ-თი.

#### არასატარიფო შეზღუდვები

- ქვეყნის კანონმდებლობით, საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისთვის.

• რა ლიცენზიები და ნებართვები მჭირდება ექსპორტ-იმპორტის დროს?

| ექსპორტი                                                                                                             | იმპორტი                                                             | ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანო                                                                                       |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დაკვირვების ელექტრონული საშუალებები                                                                                  | დაკვირვების ელექტრონული საშუალებები                                 | შინაგან საქმეთა სამინისტრო                                                                                               |
|                                                                                                                      | ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია    | სურსათის ეროვნული სააგენტო                                                                                               |
| შეზღუდულად ბრუნვადი მასალები, მაგ: საერთაშორისო კონვენციებით შეზღუდული ქიმიური ნივთიერებები                          | შეზღუდულად ბრუნვადი მასალები                                        | ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო                                                                          |
| იარაღი და საბრძოლო მასალები                                                                                          | იარაღი და საბრძოლო მასალები                                         | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო                                                                                         |
| ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მაგ: მასობრივი განადგურების იარაღის ან მის შესაქმნელად საჭირო აუცილებელი კომპონენტები | ორმაგი დანიშნულების პროდუქცია                                       | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო                                                               |
| სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები                                                           | სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები          | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო |
| გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობები                                                  | გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობები | ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო                                                                          |
|                                                                                                                      | არაიოდიზებული მარილი                                                | სოფლის მეურნეობის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო                                       |
| საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა                                                      |                                                                     | საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო                                                                         |

• რა სერტიფიკატები დამჭირდება ექსპორტის დროს და ვის მივმართო?

საქონლის ექსპორტისას, საჭიროების შემთხვევაში, საექსპორტო პროდუქციაზე გაიცემა წარმოშობის სერტიფიკატი.

✓ ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი

ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებისას წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“.

✓ წარმოშობის სერტიფიკატებს გასცემენ:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახური“;
- სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

• რა სახის წარმოშობის სერტიფიკატებს მივიღებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში?

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ოთხი სახისაა<sup>4</sup>:

- ✓ საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა "A";
- ✓ საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი;
- ✓ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1;
- ✓ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1.

| სერტიფიკატის ფორმა                               | გამცემი ორგანო                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 | წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისთვის აუცილებელი დოკუმენტები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|--------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა "A") | საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან განსაზღვრული საქონლის განსაზღვრულ ქვეყნებში ექსპორტისას სერტიფიკატს გასცემს <b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს</b> საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.<br><br>(ქვეყნები - აშშ, კანადა, ევროკავშირი, იაპონია, შვეიცარია, ნორვეგია)                                               | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>განცხადება</b>, რომელიც უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის თერთმეტნიშნა დონეზე, საქონლის ოდენობას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებას, მისამართსა და ქვეყანას;</li> <li>• <b>დეკლარაცია</b> საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ;</li> <li>• გარიგების მონაწილე მხარეებს შორის გაფორმებული <b>ხელშეკრულება</b>;</li> <li>• <b>ანგარიშ-ფაქტურა</b> (ინვოისი).</li> </ul>       |
| არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი          | სერტიფიკატს, საქართველოდან ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანაში გატანის დროს გასცემენ: <b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს</b> საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>განცხადება</b>, რომელიც უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის ოთხნიშნა დონეზე მითითებით, საქონლის ოდენობას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებას, მისამართსა და ქვეყანას;</li> <li>• <b>დეკლარაცია</b> საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ;</li> <li>• გარიგების მონაწილე მხარეებს შორის გაფორმებული <b>ხელშეკრულება</b>;</li> <li>• <b>ანგარიშ-ფაქტურა</b> (ინვოისი).</li> </ul> |

<sup>4</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბერის №420 დადგენილება

|                                                   |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|---------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>პრეფერენციული წარმოშობის CT-1 სერტიფიკატი</p>  | <p>სერტიფიკატს გასცემენ: <i>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს</i> საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.</p> <p><i>(დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტისას)</i></p>                                                                                                                             | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>განცხადება</b>, რომელიც უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის ოთხნიშნა დონეზე მითითებით, საქონლის ოდენობას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებას, მისამართსა და ქვეყანას;</li> <li>• <b>დეკლარაცია</b> საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ;</li> <li>• გარიგების მონაწილე მხარეებს შორის გაფორმებული <b>ხელშეკრულება</b>;</li> <li>• <b>ანგარიშ-ფაქტურა</b> (ინვოისი).</li> </ul> |
| <p>პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1</p> | <p>სერტიფიკატს გასცემენ: <i>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს</i> საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოები; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების შესაბამისად.</p> <p><i>(თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტისას)</i></p> | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>განცხადება</b>, რომლის ფორმას მიიღებთ სამინისტროში;</li> <li>• <b>დეკლარაცია</b> საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ;</li> <li>• გარიგების მონაწილე მხარეებს შორის გაფორმებული <b>ხელშეკრულება</b>;</li> <li>• <b>ანგარიშ-ფაქტურა</b> (ინვოისი).</li> </ul>                                                                                                                                         |

✓ სერტიფიკატი გაცემა ექსპორტიორის განცხადების რეგისტრაციიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

მისამართი:  
საქართველოს ეკონომიკისა  
და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
საქართველო, 0108 თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა №12  
ტელ: (+995 32) 299 10 55  
ვებ-გვერდი: [www.economy.gov.ge](http://www.economy.gov.ge)  
[www.export.ge](http://www.export.ge)  
[www.tradewithgeorgia.com](http://www.tradewithgeorgia.com)

## 7. როგორ გამოვიყენო მეტროლოგია, სტანდარტები, შესაბამისობის შეფასება და აკრედიტაცია?

მეტროლოგია, სტანდარტები, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება (პროდუქციის შესაბამისობა სტანდარტთან), რომელსაც მოიცავს ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის სფერო, მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო აღიარებისთვის და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია ექსპორტისთვის.

### • მეტროლოგია

- ✓ **გაზომვის საშუალების მეტროლოგიური დაკალიბრება** - გაზომვის საშუალების (მაგ: მრიცხველის და სხვა) ცდომილების ზუსტი მახასიათებლების დადგენა. დაკალიბრება წარმოადგენს ნებაყოფლობით პროცედურას და ხორციელდება იმ გაზომვის საშუალებებზე, რომლებზეც არ ვრცელდება სავალდებულო პერიოდული დამოწმების მოთხოვნა;
- ✓ **გაზომვის საშუალების მეტროლოგიური დამოწმება** - იმ გაზომვის საშუალების მეტროლოგიური შემოწმება (დაკვირვება, დათვალიერება, გამოკვლევა და ა.შ.), რომელიც გამოიყენება საგადასახადო, საბაჟო და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის ან/და ადმინისტრაციული დაჯარიმებისათვის, მათი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ✓ **გაზომვის საშუალების ტიპის რეესტრაცია** - დამოწმებას დაქვემდებარებული გაზომვის საშუალების გამოყენებამდე მისი ტიპის რეესტრაცია დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის რეესტრში.

### • სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები

- ✓ **ტექნიკური რეგლამენტი** განსაზღვრავს/ადგენს პროდუქტის, ასევე, წარმოების პროცესის უსაფრთხოების ძირითად პარამეტრებს. ტექნიკური რეგლამენტი (იმ სფეროში, სადაც არსებობს) სავალდებულოა შესასრულებლად;
- ✓ **სტანდარტი** გამოიყენება ტექნიკურ რეგლამენტში განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნების ან/და მიზნების შესრულებისათვის. სტანდარტი შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პროცედურას, დეტალს ან სხვა კომპონენტს. სტანდარტის გამოყენება არ არის სავალდებულო ხასიათის, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს ან სხვა პირს, საკუთარი შეხედულების შესაბამისად, შეარჩიოს და გამოიყენოს სტანდარტი.

მისამართი:  
საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების  
და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო  
საქართველო, 0141 თბილისი, ჩარგლის ქუჩა №67  
ტელ: (+ 995 32) 261 25 30  
ვებ-გვერდი: [www.geostm.ge](http://www.geostm.ge)

## საქართველოში მოქმედი სტანდარტების სახეობა:

- ✓ საქართველოს ეროვნული სტანდარტი - სტანდარტის გამოყენება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს;
- ✓ საქართველოს მეწარმე სუბიექტის სტანდარტი - სტანდარტის გამოყენება სხვა პირის მიერ არ არის ნებადართული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მეწარმე სუბიექტის სტანდარტის მფლობელის წერილობითი თანხმობა;
- ✓ საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის სტანდარტი - სტანდარტის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მეტროლოგიურ მომსახურებას, სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღება/რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ - საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

სტანდარტები: *ISO, IEC, CEN, CENELEC, TOCT*

### • შესაბამისობის შეფასება

- ✓ შესაბამისობის შეფასების მიზანს წარმოადგენს პროდუქტის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დადგენა. შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირი (კერძო კომპანიები);
- ✓ პროდუქტის საექსპორტოდ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქტის შესაბამისობის დადგენა, პროდუქტის მწარმოებლის მიერ მითითებულ სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან.

### • აკრედიტაცია

- ✓ აკრედიტაცია წარმოადგენს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენციის დადასტურებას იმ სფეროში, რომელ სფეროშიც ეს პირი ახორციელებს შესაბამისობის შეფასებას;
- ✓ შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის აკრედიტაციის მინიჭებას ახორციელებს სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი.

მისამართი:  
აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -  
აკრედიტაციის ცენტრი  
საქართველო, 0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის №42ა  
ტელ: (+995 32) 239 93 48; 219 22 33  
ვებ-გვერდი: [www.gac.gov.ge](http://www.gac.gov.ge)

## 8. როგორ მივიღო შტრიხ-კოდი?

### • რა არის GS1 სტანდარტი?

ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობა მოითხოვს დიდი რაოდენობით ინფორმაციისა და სავაჭრო პროდუქციის შესახებ დოკუმენტაციის გაცვლას. სწორედ ამიტომ, ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 1977 წელს მწარმოებლებმა და დისტრიბუტორებმა შექმნეს პროდუქციისა და მომსახურების საერთო აღმრიცხავი სისტემა.

მონაცემთა ელექტრონული გაცვლის პროცესში ყველანაირი სავაჭრო დოკუმენტაცია წარმოდგენილია **GS1** (Global Standards 1) სისტემაში დადგენილი სტანდარტული გზავნილების სახით. დღეისათვის საერთაშორისო ორგანიზაციაში **GS1** გაწევრიანებულია **110** ქვეყნის ორგანიზაცია.

### • რაში გვეხმარება GS1 სტანდარტები?

GS1 სტანდარტების შტრიხ-კოდების გამოყენება უამრავ ხელსაყრელ პირობას უქმნის, როგორც პროდუქციის მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებს, ასევე მომხმარებლებს, კერძოდ:

- უზრუნველყოფს მარაგების მოწესრიგებულ და ეფექტურ მართვას;
- უზრუნველყოფს გაყიდვათა შესახებ მონაცემების ავტომატურ მიღებას და ახალი შეკვეთების დროულად შესრულების შესაძლებლობას;
- ამცირებს შეცდომების დაშვების შესაძლებლობას საცალო ვაჭრობაში მომხმარებელთან ანგარიშსწორების დროს;
- იძლევა საშუალებას განისაზღვროს არსებული პროდუქციის წარმატება ბაზარზე;
- ამცირებს საინვენტარო, შრომით და ადმინისტრაციულ დანახარჯებს;
- უზრუნველყოფს ლოჯისტიკური ოპერაციების მოწესრიგებას და პროდუქციის მოძრაობის სრულ თვალყურის დევნებას;
- პროდუქციის იდენტიფიკაცია აუცილებელი პირობაა ექსპორტისათვის, რამეთუ იდენტიფიცირებული პროდუქცია ადვილად აღწევს უცხოურ ბაზარზე;
- მნიშვნელოვანი პირობაა მონაცემთა ელექტრონული გაცვლისა.

### • ვის მივმართო შტრიხ-კოდის მისაღებად?

„GS1 საქართველო“ არის ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც ახდენს ქართული პროდუქციისა და მომსახურების უნიკალურ იდენტიფიკაციას საერთაშორისოდ აღიარებული საიდენტიფიკაციო სისტემის მიხედვით.

### • როგორ გავწევრიანდე GS1-ში?

იმისათვის, რომ კომპანია გაწევრიანდეს "GS1 საქართველო"-ში, კომპანიის ხელმძღვანელის, ან უფლებამოსილი პირის მიერ "GS1 საქართველო"-ს ოფისში წარდგენილ უნდა იქნას:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (reestri.gov.ge);

- ორგანიზაციის ბეჭედი;
- კომპანიის ლოგო (ელექტრონული ვარიანტი);
- ჩამონათვალი საიდენტიფიკაციოდ განკუთვნილი პროდუქციისა და ამ პროდუქციის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია: (სავაჭრო დასახელება, პროდუქტის სახეობა, წონა/მოცულობა, შეფუთვის სახეობა);
- საჭიროა შეივსოს "GS1 საქართველო"-ს საწევრო განაცხადი;
- პირველი წლის საწევრო - 1020 ლარი;
- ყოველწლიური საწევრო - 680 ლარი.

• რა საქმიანობებს მოიცავს GS1 სტანდარტების შტრიხ-კოდები?

GS1 სტანდარტების შტრიხ-კოდები გამოიყენება, როგორც სავაჭრო პროდუქციისა და მომსახურების, ასევე, მატერიალური აქტივებისა და ფიზიკური ადგილმდებარეობის უნიკალური იდენტიფიკაციისათვის. არსებობს GS1 სისტემის შემდეგი სახის სტანდარტები:

| GEPIR-ი (კომპანიების გლობალური ელექტრონული საინფორმაციო რეესტრი) |                                                            |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1                                                                | სავაჭრო პროდუქციის გლობალური საიდენტიფიკაციო ნომერი (GTIN) | <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>GS1 კომპანიის პრეფიქსი</b> - შედგება 6-9 ციფრისაგან, რომელშიც პირველი სამი ციფრი შეესაბამება ქვეყნის კოდს. მომდევნო სამი ციფრი შეესაბამება საწარმოს პრეფიქსს.</li> <li>• <b>პროდუქციის კოდი</b> - შედგება 1-6 ციფრისაგან, რომელიც სპეციფიურ ინფორმაციას არ შეიცავს.</li> <li>• <b>საკონტროლო ციფრი</b> - შტრიხ-კოდის ბოლო ციფრია და განსაზღვრავს შტრიხ-კოდის შედგენის სიზუსტეს.</li> </ul> |
| 2                                                                | ადგილმდებარეობის გლობალური საიდენტიფიკაციო ნომერი (GLN)    | გამოიყენება ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე ცალკეული ფუნქციონალური განყოფილებების იდენტიფიკაციისათვის. ნომერი არის ფიქსირებული სიგრძის და 13 ციფრისგან შედგება.                                                                                                                                                                                                                                                                   |
| 3                                                                | ლოჯისტიკაში გამოყენებული საიდენტიფიკაციო ნომრები (SSCC)    | შტრიხ-კოდი SSGG საშუალებით ხორციელდება მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში პროდუქციის მოძრაობის თვალყურის დევნება. ლოჯისტიკის საშუალებებს განეკუთვნება პროდუქციის გადასაზიდად განკუთვნილი ყუთები, პალეტები და კონტეინერები, რომლებიც კვეთენ ქვეყნების საზღვრებს. შტრიხ-კოდი ფიქსირებული სიგრძისაა და 18 ციფრს შეიცავს.                                                                                                                           |
| 4                                                                | მომსახურების გლობალური საიდენტიფიკაციო ნომერი (GSRN)       | გამოიყენება შემდეგი სახის მომსახურების საიდენტიფიკაციოდ: <ul style="list-style-type: none"> <li>• საავადმყოფოებში;</li> <li>• სასწავლო პროგრამებში;</li> <li>• გასართობ დაწესებულებებში წევრობის საიდენტიფიკაციოდ;</li> <li>• სტუდენტური ბილეთების საიდენტიფიკაციოდ;</li> <li>• საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად და სხვა.</li> </ul>                                                                                                  |

მისამართი:  
**GS1 საქართველო**  
 საქართველო, 0102 თბილისი, ვ. მარჯანიშვილის ქუჩა №5  
 მე-2 სართული, ოთახი №205  
 ტელ: (+ 995 32) 296 10 19  
 ფაქსი: (+995 32) 218 07 79  
 ვებ-გვერდი: [www.gs1ge.org](http://www.gs1ge.org)  
 ელ-ფოსტა: [info@gs1ge.org](mailto:info@gs1ge.org)

## 9. როგორ მივიღო პატენტი?

### • რა არის პატენტი და ვის მივმართო პატენტის მისაღებად?

პატენტი არის გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული მონოპოლიური უფლება, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით ან სასარგებლო მოდელით სარგებლობა.

ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მონოპოლიური უფლებების მინიჭება დასტურდება საპატენტო სიგელით (პატენტით), რომელსაც გასცემ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“. პატენტი შეიძლება გახდეს გაყიდვის ან ლიცენზირების ობიექტი.

### • რაზე გაიცემა პატენტი?

პატენტი გაიცემა:

- ✓ მოწყობილობებზე (მანქანა-მექანიზმები, დანადგარები, ხელსაწყოები, ელ.სქემები და ა.შ.);
- ✓ ნივთიერებებზე (ხსნარები, შენადნობები, ქიმიური ნაერთები, ნარევი და ა.შ.);
- ✓ ბიოლოგიური მასალებზე (მიკროორგანიზმების შტამი, მცენარეთა და ცხოველთა ასოციაციები, უჯრედების კულტურები და ა.შ.);
- ✓ ხერხზე (ტექნოლოგიური პროცესები, ილეთები, ოპერაციები და ა.შ.).

### • როგორ გამოგონებას იცავს პატენტი?

პატენტი იცავს ისეთ გამოგონებას, რომელიც აკმაყოფილებს სამ ძირითად კრიტერიუმს:

#### 1. სიახლე

გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის მსოფლიოში ტექნიკის არსებული დონიდან გამომდინარე და რომელიც ცნობილია წერილობით, ზეპირი აღწერით ან სხვა გზით გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.

#### 2. საგამომგონებლო დონე

გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან.

#### 3. სამრეწველო გამოყენებადობა

გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სფეროებში.

### • რა არის გამოგონება და სასარგებლო მოდელი?

- ✓ გამოგონება არის იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას.
- ✓ სასარგებლო მოდელი იგივე გამოგონებაა, რომელსაც დასაცავად ნაკლები მოთხოვნები წაყენება.

## • როგორ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე არ გაიცემა პატენტი?

პატენტი არ გაიცემა:

- ✓ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, რომელიც იწვევს არაჰუმანურ, ამორალურ და ანტისაზოგადოებრივ ქმედებას;
- ✓ ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულ და დიაგნოსტიკურ ხერხებს. მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის ბიოლოგიურ ხერხებს.
- ✓ გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა შემდეგი ობიექტები:
  - აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, ან მათემატიკური მეთოდი;
  - ალგორითმები და პროგრამები გამომთვლელი მანქანებისათვის;
  - აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების წესები;
  - ნაგებობათა, შენობათა, ტერიტორიათა დაგეგმარების პროექტი და სქემა და სხვა;

## • რა არის ინტელექტუალური საკუთრება?

ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია ადამიანის გონებრივ შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან.

## • რა არის საპატენტო უფლებები?

პატენტის საფუძველზე წარმოიშობა საპატენტო უფლებები, რომლებიც ორი სახისაა

- პირადი არაქონებრივი;
- ქონებრივი.

**პირადი არაქონებრივი** საპატენტო უფლება ეკუთვნის მხოლოდ გამომგონებელს. გამომგონებელს გააჩნია გამომგონებლად დასახელებისა და აღიარების მოთხოვნის უფლება, აგრეთვე, გამოგონების ან სასარგებლო მოდელისათვის სპეციალური სახელწოდების შერჩევის უფლება. ეს უფლებები განუსხვისებელია.

**ქონებრივი** საპატენტო უფლებები საპატენტო სამართალში განსაკუთრებული უფლებების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ უფლებებს შეიძლება ფლობდეს გამომგონებელიც და ნებისმიერი სხვა პირიც, თუ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

## • რა პროცედურებს ითვალისწინებს პატენტის გაცემა?

საქპატენტში წარდგენილ განაცხადზე პატენტის გაცემის პროცედურა მოიცავს:

- ✓ **ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას**, რომელიც ითვალისწინებს განაცხადის შეტანის თარიღის დადგენას, საგანაცხადო მასალების სისრულისა და გაფორმების სისწორის შემოწმებას და პრიორიტეტის დადასტურებას;
- ✓ **არასრულ არსობრივ ექსპერტიზას**, რომელიც ითვალისწინებს:

- გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულის ანალიზისა და აღწერილობის სისრულის შემოწმების საფუძველზე;
- საინფორმაციო ანგარიშის მომზადებას კვლევის ტექნიკის დონის დასადგენად;
- ექსპერტიზას სიახლეზე და დოკუმენტური დასკვნის შედგენას;
- გადაწყვეტილების მიღებას პატენტის გაცემის თაობაზე და სხვა.

### • როგორ მივიღო პატენტი საზღვარგარეთ?

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე განაცხადი შეიტანოს უშუალოდ იმ ქვეყნის საპატენტო უწყებაში, სადაც მას სურს პატენტის მიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ამ განაცხადს წარადგენს საქპატენტში და მიიღებს ნებართვას უცხოეთში განაცხადის წარდგენაზე.

### • როგორია ”საქპატენტის” მომსახურების საფასური?

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N182 დადგენილება განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურებს, როგორცაა:

- ✓ გამოგონება;
- ✓ სასარგებლო მოდელი;
- ✓ დიზაინის რეგისტრაცია;
- ✓ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია;
- ✓ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;
- ✓ ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირება.

”საქპატენტის” მიერ საფასურებში გათვალისწინებულია შეღავათები, კერძოდ: გამომგონებლებსა და დიზაინერებზე 70%, ხოლო სტუდენტ, სკოლის მოსწავლე და პენსიონერ განმცხადებელებზე 90%-იანი შეღავათი.

მისამართი:  
 სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების  
 ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“  
 საქართველო, 0108 თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. №30  
 ტელ: (+ 995 32) 291 71 80  
 (+995 32) 291 71 83  
 ვებ-გვერდი: [www.sakpatenti.org.ge](http://www.sakpatenti.org.ge)  
 ელ-ფოსტა: [info@sakpatenti.org.ge](mailto:info@sakpatenti.org.ge)

## 10. რას ნიშნავს სურსათის უვნებლობა?

სახელმწიფო რეგულირებას დაქვემდებარებული სურსათის წარმოებასთან, ვეტერინარიასთან და ფიტოსანიტარიასთან დაკავშირებული ქმედებები საჭიროებს ნებართვას/სერტიფიცირებას, რომლის მიზანია მომხმარებლის დაცვა და გაუთვალისწინებელი, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი რისკის თავიდან აცილება.

### • როგორ მივიღო ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებართვები?

სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო გასცემს 2 სახის ნებართვას:

- ზოგიერთ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვა;
- ზოგიერთ ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე ნებართვა.

| ნებართვის სახეები                                                                                                                                                                         | კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია                                                                                                                                                                                                                                                                                                             | ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია                                                                                                                                                                              | ნებართვის მოქმედების ვადა |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------|
| 1. ზოგიერთ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვა (ნებართვას დაქვემდებარებული პროდუქტების ნუსხა რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით). | ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციაა: ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, ცხოველთა საკვები (საკვებდანამატები), ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <a href="http://www.nfa.gov.ge">www.nfa.gov.ge</a> ). | <ul style="list-style-type: none"> <li>• განცხადება;</li> <li>• სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;</li> <li>• ვეტერინარული სერტიფიკატი;</li> <li>• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.</li> </ul> | 1 თვე                     |
| 2. ზოგიერთ ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე ნებართვა.                                                                                     | ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციაა: ფიტოსანიტარულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.                                                                                                                         | <ul style="list-style-type: none"> <li>• განცხადება;</li> <li>• სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;</li> <li>• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.</li> </ul>                                      | 6 თვე<br>(არა უმეტეს)     |

## • როგორ დავარეგისტრირო ვეტ-პრეპარატები?

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას, ან რეგისტრაციის გაუქმებასა და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლს.

ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაცია ხორციელდება 2 რეჟიმით: ეროვნული<sup>5</sup> და აღიარებითი<sup>6</sup> რეჟიმით.

ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციისას სააგენტო ახორციელებს სარეგისტრაციო დოკუმენტების ადმინისტრაციულ და მეცნიერულ-ტექნიკურ ექსპერტიზას.

## • როგორ დავარეგისტრირო პესტიციდები?

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო ატარებს პესტიციდების რეგისტრაციას შემდეგი პრინციპებით:

1. აღიარების რეჟიმში, სარეგისტრაციო ორგანოს მიერ დოსიეს შემოწმების საფუძველზე;
2. სარეგისტრაციო ორგანოს მიერ დოსიეს შემოწმების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ ჩატარებული დოკუმენტალური ექსპერტიზის საფუძველზე;
3. სარეგისტრაციო ორგანოს მიერ დოსიეს შემოწმების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ ჩატარებული დოკუმენტალური ექსპერტიზისა და სარეგისტრაციო მინდვრის გამოცდების საფუძველზე.

---

<sup>5</sup> ეროვნული რეჟიმი – პროცესი, რომელიც მოიცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ექსპერტიზისა და სარეგისტრაციო გამოცდის საფუძველზე სარეგისტრაციო მოწმობის გაცემას და სახელმწიფო რეგისტრში გატარებას;

<sup>6</sup> აღიარებითი რეჟიმი - გამოიყენება იმ ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის მიმართ, რომელიც სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის მარეგულირებელმა სახელმწიფო ორგანომ დაუშვა შესაბამის ბაზარზე.

• როგორია სააგენტოს მომსახურების (ნებართვები, სერტიფიკატები, რეგისტრაცია და სხვა) ვადები და საფასური?<sup>7</sup>

| №  | მომსახურების სახეები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | მომსახურების ვადა                                                                                                                      | ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით)                                                                                |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1  | ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვა <ul style="list-style-type: none"> <li>ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების იმპორტი, ტრანზიტი;</li> <li>ცხოველების (მათ შორის ყველა სახის ძუძუმწოვარა ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი) ემბრიონის, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის, ცხოვ. წარმოშობის ნედლეულის (მათ შორის: ტყავი, მატყლი, ქურქ-ბეწვეული, ძვალი, ნაწლავი, ძვალ-ხორცის ფქვილი) იმპორტი, ტრანზიტი;</li> <li>ცხოველთა საკვების (საკვებდანამატების) იმპორტი, ტრანზიტი;</li> <li>ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი, ტრანზიტი.</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>20 სამუშაო დღე</li> <li>10 სამუშაო დღე</li> <li>5 სამუშაო დღე</li> <li>1 სამუშაო დღე</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>უფასო</li> <li>20 ლარი</li> <li>40 ლარი</li> <li>50 ლარი</li> </ul> |
| 2  | ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        | <ul style="list-style-type: none"> <li>20 სამუშაო დღე</li> <li>10 სამუშაო დღე</li> <li>5 სამუშაო დღე</li> <li>1 სამუშაო დღე</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>უფასო</li> <li>10 ლარი</li> <li>20 ლარი</li> <li>25 ლარი</li> </ul> |
| 3  | ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                        | 25 ლარი                                                                                                    |
| 4  | ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის ვეტერინარული სერტიფიკატები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                        | 50 ლარი                                                                                                    |
| 5  | სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   | <ul style="list-style-type: none"> <li>5 სამუშაო დღე</li> <li>3 სამუშაო დღე</li> <li>1 სამუშაო დღე</li> </ul>                          | <ul style="list-style-type: none"> <li>50 ლარი</li> <li>75 ლარი</li> <li>100 ლარი</li> </ul>               |
| 6  | წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის სერტიფიკატი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                        | 100 ლარი                                                                                                   |
| 7  | ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | <ul style="list-style-type: none"> <li>3 თვე</li> <li>2 თვე</li> <li>1 თვე</li> </ul>                                                  | <ul style="list-style-type: none"> <li>1000 ლარი</li> <li>1300 ლარი</li> <li>1500 ლარი</li> </ul>          |
| 8  | ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატის აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაცია                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                | <ul style="list-style-type: none"> <li>10 სამუშაო დღე</li> <li>3 სამუშაო დღე</li> <li>1 სამუშაო დღე</li> </ul>                         | <ul style="list-style-type: none"> <li>500 ლარი</li> <li>700 ლარი</li> <li>800 ლარი</li> </ul>             |
| 9  | პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       | სხვადასხვა                                                                                                                             |                                                                                                            |
| 10 | მავნებელ დავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარება (გარდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა)                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | 1 ჰა – 100 ლარი                                                                                                                        |                                                                                                            |

მისამართი:  
 სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო  
 საქართველო, 0159 თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6  
 ცხელი ხაზი: (+ 995 32) 291 91 67 (108)  
 ვებ-გვერდი: [www.nfa.gov.ge](http://www.nfa.gov.ge)  
 ელ-ფოსტა: [info@nfa.gov.ge](mailto:info@nfa.gov.ge)

<sup>7</sup> შენიშვნა: აღნიშნული ითვალისწინებს მხოლოდ სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურს. თითოეული საქმიანობისთვის ღირებულება დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

## 11. როგორ შევადგინო ბიზნეს-გეგმა?

### • რისთვის არის საჭირო ბიზნეს-გეგმა?

- ბიზნეს-გეგმის შედგენა დაგეხმარებათ წინასწარ განსაზღვროთ თქვენი სამოქმედო გეგმა ბიზნესის განხორციელებისთვის;
- ბიზნეს-გეგმა მოიცავს ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო იმ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც მიღწევადი უნდა იყოს მომდევნო 3-5 წლის განმავლობაში;
- ბიზნეს-გეგმის შექმნით საშუალება გეძლევათ ობიექტურად და კრიტიკულად შეხედოთ თქვენს ბიზნესს;
- მიმდინარე ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს სამოქმედო ინსტრუმენტს, რომელიც გეხმარებათ მართოთ ბიზნესი და უზრუნველყოთ მისი წარმატება;
- ბიზნეს-გეგმის მეშვეობით შესაძლებელია თქვენი იდეების წარმოჩენა, მათი სისრულეში მოყვანა და დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა.

### • როგორი უნდა იყოს ბიზნეს-გეგმა?

ბიზნეს-გეგმა (სამეწარმეო საქმიანობის გეგმა), ძირითადად, მოიცავს ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონკურენტების პოზიციებს ბაზარზე და პოტენციურ მომხმარებლებს, საწარმოო პროცესს, ბაზრის ათვისებას, მარკეტინგულ სტრატეგიასა და პროდუქციის/მომსახურების გასაღების გეგმას, ინფორმაციას ბიზნესის მმართველი გუნდის შესახებ, ინვესტიციების მოზიდვის გზებს, ფინანსურ გეგმას.

ბიზნეს-გეგმა უნდა იყოს მოკლე, ლაკონური და იოლად აღქმადი. ტექსტი შეიძლება ილუსტრირებული იყოს გრაფიკული მასალითა და დიაგრამებით.

ბიზნეს-გეგმა, შეიძლება გავყოთ სამ ძირითად ნაწილად. იგი უნდა შეიცავდეს **რეზიუმეს**, **ძირითად ტექსტს** და **ფინანსურ გეგმას** ფინანსურ ცხრილებთან ერთად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეზიუმეს. რეზიუმეს პირველივე გვერდზე უნდა მოხდეს ბიზნეს-გეგმის ლაკონური აღწერა. რეზიუმე მოცულობით სამ გვერდზე ნაკლები უნდა იყოს და უნდა ასახავდეს ბიზნეს-გეგმის იმ ძირითად საკითხებს, რომელიც განაპირობებს თქვენი ბიზნესის წარმატებას.

მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ პარტნიორისა და ინვესტორის როლი (საჭიროების შემთხვევაში) და ასევე - რას სთავაზობთ თქვენ მას. შეთავაზება უნდა იყოს მიმზიდველი. მკაფიოდ მიუთითეთ, თუ რაში მდგომარეობს ინვესტორის სარგებელი. **გახსოვდეთ**, რომ ინვესტორის მოზიდვაში თქვენ გაცილებით მეტად ხართ დაინტერესებული, ვიდრე ინვესტორი თქვენში.

ბიზნეს-გეგმაში ყველაზე მნიშვნელოვანი კი **ფინანსების დაგეგმვაა**. ინვესტიციების მოზიდვისა და ფინანსური შესაძლებლობების სწორი შეფასება მნიშვნელოვნად განაპირობებს რისკების შემცირებას და არსებული რესურსების ფარგლებში მაქსიმალური შედეგის მიღწევას.

**ბიზნეს-გეგმა უნდა პასუხობდეს მთავარ კითხვას:** რამდენად ეფექტანია თქვენი პროექტი, რა დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რა რისკებს შეიცავს და როგორ აისახება ისინი ფინანსურ შედეგებზე.

## • როგორია ბიზნეს-გეგმის ზოგადი სტრუქტურა?

არ არსებობს ბიზნეს-გეგმის შედგენის სტანდარტული ფორმატი. სხვადასხვა სიტუაციებში ბიზნეს-გეგმა სხვადასხვანაირად შეიძლება აიგოს. ამავე დროს, არსებობს რამდენიმე ელემენტი, რომლებსაც პრაქტიკულად ყველა ბიზნეს-გეგმა შეიცავს. ესენია:

1. რეზიუმე
2. კომპანიის აღწერა
3. ბაზრის ანალიზი
4. კონკურენტები და მათი პოზიციები ბაზარზე
5. პროდუქციის/მომსახურების აღწერა
6. საწარმოო ციკლი
7. მარკეტინგული სტრატეგია
8. მენეჯმენტი და პერსონალი
9. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი
10. ფინანსური გეგმა/პროექტის ბიუჯეტი
11. დანართები

## ბიზნეს-გეგმა

### 1. რეზიუმე

რეზიუმე წარმოადგენს ბიზნეს-გეგმის მოკლე მიმოხილვას. რეზიუმე პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: **შესავალი და პროექტის მოკლე აღწერა.**

**შესავალი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:**

- პროექტის დასახელება;
- კომპანიის სახელწოდება და მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- კომპანიის მფლობელები;
- კომპანიის კოორდინატები;
- პროექტის მომზადების თარიღი.

### პროექტის მოკლე აღწერა

ეს ნაწილი მოკლედ, ანოტირებულად წარმოადგენს თქვენ ბიზნეს-გეგმას და ამდენად, ბიზნეს-გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც წესი, მოკლე აღწერა იწერება სულ ბოლოს, როდესაც დაასრულებთ ბიზნეს-გეგმაზე მუშაობას, რადგან იგი აჯამებს მთელ ბიზნეს-გეგმას და შესაბამისად, თავშივე აწვდის მკითხველს მოკლე ინფორმაციას.

- ინფორმაცია კომპანიის შესახებ;
- მმართველი პერსონალი: რაოდენობა, კვალიფიკაცია, მონაწილეობა საწარმოს კაპიტალში (არსებობის შემთხვევაში);
- პროდუქციის ან სერვისის აღწერილობა, მისი განსაკუთრებულობა ან/და კონკურენტუნარიანობა;
- ბაზრის მოკლე აღწერა - ბაზრის პოტენციური თქვენი პროდუქციის ან სერვისისთვის;
- პროექტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, მოსალოდნელი მომგებიანობა;

- საჭირო ინვესტიციები, დაფინანსების სავარაუდო წყაროები;
- საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზიები, ნებართვები;
- მოსალოდნელი რისკები და რისკებისაგან დაზღვევა;
- 3 ან 5-წლიანი ფინანსური პროგნოზის მოკლე აღწერა, განსაკუთრებით გაყიდვებზე და მოგება/ზარალზე.

## 2. კომპანიის აღწერა

ამ ნაწილში უნდა აისახოს კომპანიის ისტორია, მისია, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. კომპანიის მიზნები უნდა იყოს კონკრეტული და გაზომვადი.

გეგმის ეს ნაწილი უნდა განსაზღვრავდეს მმართველი გუნდის წამყვან წევრებს, მოკლედ აღწერდეს მათ პასუხისმგებლობას და იძლეოდეს ინფორმაციას მათი გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ. პროექტში ჩართული პირების გამოცდილებისა და მიღწევების უფრო დაწვრილებითი აღწერა (რეზიუმე, CV) საჭიროა გაკეთდეს ცალკე, ბიზნეს-გეგმის დანართის სახით.

## 3. ბაზრის ანალიზი, კონკურენტები

ბიზნეს-საქმიანობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა შევისწავლოთ ბაზარი. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ბაზარი, რომელშიც შედის კომპანია, საკმარისად დიდია ან ვითარდება და აქვს პოტენციური თქვენ მიერ შეთავაზებული პროდუქციის/მომსახურების მისაღებად. როგორია ბაზარზე არსებული პროდუქციის/მომსახურების მოთხოვნის დინამიკა. ასევე, მნიშვნელოვანია, ზუსტად განვსაზღვროთ, თუ ვინ იქნება თქვენი პროდუქციის/მომსახურების მომხმარებელი და მომხმარებლის რა სეგმენტზეა (მომხმარებლის შემოსავლები) გათვლილი.

ასევე, მნიშვნელოვანია, სწორად განვსაზღვროთ კონკურენტები. კონკურენტები უნდა შევავსოთ შემდეგი მიმართულებით:

- პოტენციური კონკურენტების რაოდენობა;
- კონკურენტების პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხი და ფასი;
- კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეები;
- კონკურენტების რეპუტაცია;
- ბაზრის რა მოცულობა უკავიათ კონკურენტებს;
- როგორ უწევენ რეალიზაციას საკუთარ პროდუქციას;
- რამდენად ეფექტიანები არიან.

ამდენად, შეადარეთ თქვენი პროდუქტი ან სერვისი კონკურენტებისას. რით, ან როგორ გამოირჩევა ის მათგან? რა გახდის მას უფრო წარმატებულს?

#### 4. პროდუქციის/მომსახურების აღწერა

ამ ნაწილში უნდა ჩანდეს, თუ რა სახის პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებას აპირებთ ბაზრისთვის. აღწერეთ თქვენი პროდუქციის ძირითადი მახასიათებლები, შეთავაზებული საქონლის უპირატესობა კონკურენტების საქონელთან შედარებით.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაუსვათ თქვენი პროდუქციის ან მომსახურების უნიკალურობას, როგორცაა ახალი ტექნოლოგია, საქონლის ხარისხი, ან რაღაც სხვა ღირსებები, რომლებიც მყიდველის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- პროდუქციის/მომსახურების დასახელება, დანიშნულება და გამოყენების სფერო;
- პროდუქციის/მომსახურების მოკლე აღწერა და ძირითადი მახასიათებლები;
- პროდუქციის/მომსახურების ფასი და ხარისხი;
- ბაზარზე წარმოდგენილი ანალოგიური პროდუქციის ფასი და ხარისხი;
- ხარისხის სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);
- პროდუქციის/მომსახურების ეკოლოგიურობა და უსაფრთხოება;
- პროდუქციის/მომსახურების მიწოდების პირობები, შეფუთვა.

კარგი იქნება, თუ დანართის სახით წარმოდგენილი იქნება სურათები, ნახატები, პროდუქციის/მომსახურების აღწერა.

#### 5. საწარმოო ციკლი

საწარმოო გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

**წარმოების მოცულობა** - ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია. უმეტესად, პროდუქციის წარმოების მოცულობა თანდათანობით იზრდება. ბიზნეს-გეგმა, რომელშიც სრული საწარმოო სიმძლავრე პირველივე დღეს მიიღწევა, ეჭვს ბადებს. წარმოების მოცულობა უნდა ვიანგარიშოთ საწარმოო სიმძლავრიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე. საწარმოო პროცესი მოიცავს წარმოების ციკლის სრულ ჯაჭვს, პროდუქციის წარმოებიდან მის რეალიზაციამდე.

#### 6. მარკეტინგული გეგმა

ბიზნეს-გეგმის ამ ნაწილში, რაც შეიძლება სრულად და დეტალურად უნდა წარმოაჩინოთ კომპანიის მარკეტინგული გეგმა და სტრატეგია. იგი დაგეხმარებათ, დაადგინოთ, თუ რა საჭიროება და მოთხოვნილება აქვთ მყიდველებს, რა სახის პროდუქტი/მომსახურება უნდა შესთავაზოთ მათ, რა ფასი უნდა დაადოთ თქვენს პროდუქტს/მომსახურებას, როგორ უნდა მიაწოდოთ პროდუქტი/მომსახურება მყიდველს, როგორ აცნობებთ მათ თქვენი პროდუქტის/მომსახურების შეთავაზებას.

მარკეტინგული გეგმა, როგორც წესი, ერთი წლის პერიოდით დგება, თუმცა, შეიძლება გათვლილი იყოს უფრო დიდ პერიოდზე.

## მარკეტინგული გეგმის შინაარსი

| ნაწილი                                     | მიზანი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|--------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| შესავალი                                   | შესავალი წარმოადგენს გეგმის მთავარი მიზნებისა და რეკომენდაციების მოკლე შეჯამებას.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| არსებული მარკეტინგული მდგომარეობის ანალიზი | აღწერს კომპანიის მიზნობრივ ბაზარს და ბაზარზე მის პოზიციას, მათ შორის ინფორმაციას ბაზრის, პროდუქციის, კონკურენციისა და დისტრიბუციის შესახებ. ეს ნაწილი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: <ul style="list-style-type: none"> <li>• ბაზრის აღწერა - განსაზღვრავს ბაზარს და მის ძირითად სეგმენტებს, შემდეგ მიმოიხილავს მყიდველის საჭიროებებს, რაც მოქმედებს შესყიდვებზე;</li> <li>• პროდუქტის მიმოხილვა - ფასდება პროდუქტების გაყიდვა, ფასები და მთლიანი მოგება;</li> <li>• კონკურენცია - განსაზღვრავს ძირითად კონკურენტებს, აფასებს ბაზარზე მათ პოზიციას და პროდუქტის ხარისხს;</li> <li>• დისტრიბუცია - აფასებს გაყიდვის ტენდენციებს.</li> </ul> |
| საფრთხეებისა და შესაძლებლობების ანალიზი    | ამ ნაწილში ანალიზი უკეთდება იმ ძირითად საფრთხეებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც შესაძლოა კომპანია წააწყდეს. ეს ეხმარება ხელმძღვანელობას გაითვალისწინოს მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| მიზნები და ამოცანები                       | გეგმის თანახმად, უნდა მოხდეს კომპანიის მიზნების ჩამოყალიბება და მათი მიღწევითვის საჭირო ძირითადი საკითხების განხილვა. მაგალითად, თუ კომპანიამ მიზნად დაისახა მიაღწიოს 2%-იან საბაზრო წილს, გეგმის ეს ნაწილი განიხილავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| მარკეტინგული სტრატეგია                     | მარკეტინგული სტრატეგიის საშუალებით კომპანია მომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას იმედოვნებს. ამ პროცესის საშუალებით იგი იღებს გადაწყვეტილებას, რომელ მყიდველს მოემსახუროს და რა შესთავაზოს მათ.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| სამოქმედო პროგრამა                         | განმარტავს მარკეტინგული სტრატეგიის სპეციალურ სამოქმედო პროგრამად ჩამოყალიბებას, რომელიც, თავის მხრივ, შემდეგ კითხვებზე გვაძლევს პასუხს: რა გაკეთდება? როდის გაკეთდება? ვინ არის პასუხისმგებელი შესრულებაზე? რა ღირებულება ექნება მას?                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| ბიუჯეტი                                    | ამ ნაწილში ხდება მარკეტინგული ბიუჯეტის დეტალური მიმოხილვა, რაც დაგეგმილი მოგება-ზარალის უწყისს მოიცავს. იგი გვიჩვენებს სავარაუდო წლიურ შემოსავალს (გაყიდული ერთეულების მოსალოდნელ რაოდენობას და მათ საშუალო ფასს) და სავარაუდო ხარჯებს (წარმოება, დისტრიბუცია და მარკეტინგი). სხვაობა სავარაუდო შემოსავალსა და სავარაუდო ხარჯებს შორის არის <b>დაგეგმილი მოგება</b> .                                                                                                                                                                                                                                                                         |
| კონტროლი                                   | უნდა შემუშავდეს საკონტროლო სისტემა, რომლის საშუალებით წარიმართება მიღწეული შედეგების მონიტორინგი. იგი ხელმძღვანელობას დაეხმარება მიმოიხილოს დასახული გეგმების განხორციელების შედეგები და აღმოაჩინოს ხელისშემშლელი ფაქტორები.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |

## 7. მენეჯმენტი და პერსონალი

ამ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა:

- მმართველი გუნდი და მათი ძირითადი ფუნქციები;
- პერსონალის რაოდენობა;
- დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე;
- თანამშრომელთა წახალისებისა და პრემირების სისტემა.

## 8. ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი (SWOT ანალიზი)

ბიზნეს-გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია SWOT ანალიზი, რაც დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვროთ საწარმოს შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები.

ძლიერი და სუსტი მხარეები განპირობებულია საწარმოს შიდა ფაქტორებით, ხოლო გარე ფაქტორები წარმოშობს შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. SWOT ანალიზი დაგეხმარებათ, გაიგოთ ბიზნეს გარემოში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაძლებლობები, როგორცაა საბაზრო ცვლილება, კონკურენცია, სახელმწიფო პოლიტიკა და გარემოში მიმდინარე სხვა ცვლილებები.

### • ძლიერი მხარეები

ძლიერი მხარეები მოიცავს თქვენი ბიზნესის უპირატესობებს. ასეთი შეიძლება იყოს: კვალიფიციური თანამშრომლები, გარკვეული ფინანსური რესურსი, ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ა.შ.

### • სუსტი მხარეები

სუსტი მხარეები მოიცავს თქვენი ბიზნესის სისუსტეებს. ასეთი შეიძლება იყოს: თანამშრომელთა არასაკმარისი კვალიფიკაცია; წარმოების მაღალი დანახარჯები; არახელსაყრელი ადგილმდებარეობა და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთანავე მოახდინოთ მათი აღმოფხვრა ან მინიმუმამდე დაყვანა/შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს თქვენი საწარმოს შემდგომი გაფართოებისთვის. შესაძლებელია სუსტი მხარეების უპირატესობად გადაქცევა.

### • შესაძლებლობები

შესაძლებლობებში მოიაზრება ახალი მომხმარებლები, ახალი ბაზრები, ყველასაგან განსხვავებული მომსახურების შექმნა/ინოვაციები.

### • საფრთხეები

საფრთხეებში იდენტიფიცირებულია ისეთი ფაქტორები, რომელთაც შესაძლოა თქვენს ბიზნესზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. საფრთხეები თქვენი კომპანიისათვის შესაძლებელია იყოს თქვენი კონკურენტის ქმედებები ან ბიზნესთან დაკავშირებული ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. საფრთხეებში, ასევე, მოიაზრება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები.

**SWOT ანალიზის ნიმუში**

(განსაზღვრეთ კრიტერიუმები საკუთარი SWOT მდგომარეობის მიხედვით)

| კრიტერიუმები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           | S (ძლიერი)       | W (სუსტი)   |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|-------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• აკრედიტაცია, კვალიფიკაცია, სერტიფიკაცია</li> <li>• ბიზნესის მართვის უნარები - გამოცდილება და ცოდნა</li> <li>• ბიზნესის ღირებულება</li> <li>• ფულადი სახსრების მოძრაობა და ფინანსური ეფექტი</li> <li>• კონკურენტული უპირატესობა</li> <li>• ინოვაციური საშუალებები</li> <li>• ადგილმდებარეობა და გეოგრაფიული საკითხები</li> <li>• ლიდერული უნარ-ჩვევები</li> <li>• მარკეტინგი</li> <li>• ფასი</li> <li>• ხარისხის კონტროლი</li> <li>• რეპუტაცია</li> <li>• რესურსები</li> <li>• დროის მართვა და სხვა</li> </ul> |                  |             |
| კრიტერიუმები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           | O (შესაძლებლობა) | T (საფრთხე) |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |  |  |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• კონკურენტები</li> <li>• ეკონომიკური ფაქტორები</li> <li>• პოლიტიკური ფაქტორები</li> <li>• გარემო ფაქტორები</li> <li>• სოციალური ფაქტორები</li> <li>• საერთაშორისო ფაქტორები</li> <li>• ექსპორტ-იმპორტი</li> <li>• ინფორმაცია და კვლევა</li> <li>• IT უნარები</li> <li>• საკანონმდებლო გარემო</li> <li>• საბაზრო მოთხოვნა</li> <li>• ბაზრის განვითარება</li> <li>• ახალი ბაზრები</li> <li>• ახალი პროდუქციის განვითარება</li> <li>• ახალი ტექნოლოგიები/მომსახურება</li> <li>• თანამშრომლობა/ბიზნეს პარტნიორობა/კონტრაქტები</li> <li>• დისტრიბუცია/ლოჯისტიკა</li> <li>• კლიმატური პირობები და სხვა</li> </ul> |  |  |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|

## 9. ფინანსური გეგმა/პროექტის ბიუჯეტი

ბიზნეს-გეგმის მთავარი ნაწილი უნდა შეიცავდეს ფინანსური პროგნოზების მოკლე აღწერას, მათი დეტალური გადმოცემა კი უნდა მოხდეს დანართში. აქ უნდა ასახოთ საწარმოს მოგებაზე გასვლის ვადები, გაყიდვებისა და მოგების ზრდის ტემპები.

ფინანსური პროგნოზების დანართში საჭიროა დეტალურად აისახოს საბალანსო ანგარიში, ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი 3-5 წლიან პერსპექტივაში (პირველი წლის განმავლობაში - ყოველთვიური, მომდევნო წლებში კი ყოველკვარტალური განაწილებით).

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფინანსური გათვლები გამყარებული იყოს ბაზრის კვლევის მონაცემებით და მასზე დამყარებული რეალისტური პროგნოზებით. თუ თქვენ არ გაქვთ ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის ჩვევები, უმჯობესია მიმართოთ სპეციალისტს.

**ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება და ფასი** - აქ აღწერილი უნდა იქნას, თუ როგორ განსაზღვრავთ ფასს თქვენ პროდუქციაზე/მომსახურებაზე.

### ფასის განსაზღვრა:

**1. თვითღირებულების განსაზღვრა:** ჯამდება ყველა წლიური ხარჯი, შემდეგ ჯამი იყოფა წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე.

**2. გასაყიდი ფასის განსაზღვრა:** თვითღირებულებას ემატება გარკვეული მოგების პროცენტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კონკურენტების ფასებს. საწყისი ფასის განსაზღვრის ეტაპი საკმაოდ რთულია. დროდადრო საჭიროა ფასების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას პროდუქციის შექმნაზე გაწეული ხარჯები, რომელიც ორი სახის ხარჯებს მოიცავს: მუდმივ დანახარჯებსა და ცვლად დანახარჯებს.

**მუდმივი დანახარჯები:** ადმინისტრაციული ხარჯები - ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, დაზღვევა, მივლინებები, მოწყობილობის იჯარა, ტექნიკური მომსახურების ხარჯები, საწარმოს შენახვის ხარჯები, რეკლამის ხარჯები, მატერიალურ-ტექნიკური და შენობა-ნაგებობების ცვეთა.

**ცვლადი დანახარჯები:** ნედლეული, მასალები, საწარმოო პერსონალის (ტექნოლოგები, მუშები, საწყობის პერსონალი) ხელფასი, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტი, შეფუთვა.

– როგორ შევადგინო პროექტის ფინანსური გეგმა?

| 1. პროექტის დაფინანსების წყაროები                |  |
|--------------------------------------------------|--|
| მფლობელის მიერ ჩადებული ინვესტიცია, ლარი         |  |
| მოზიდული სახსრები (სესხი, კრედიტი, გრანტი), ლარი |  |
| სულ, ლარი                                        |  |

| 2. მოგება-ზარალის ანგარიში                                                                                      |                 |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|
| გაყიდვები                                                                                                       | A               |
| ნედლეული, მასალები, მუშების ხელფასი, სხვა                                                                       |                 |
| სულ ცვლადი ხარჯები                                                                                              | B               |
| ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, იჯარა, დაზღვევა, კომუნალური გადასახადები, სხვა გადასახადები, გარდა მოგებისა |                 |
| სულ მუდმივი დანახარჯები                                                                                         | C               |
| მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე                                                                  | $D = A - B - C$ |
| პროცენტები კრედიტზე                                                                                             | E               |
| მოგების გადასახადი                                                                                              | F               |
| წმინდა მოგება                                                                                                   | $H = D - E - F$ |

მოგება-ზარალის ანგარიშიდან ჩანს, მიიღებს თუ არა საწარმო მოგებას.

### 3. სტანდარტული საბალანსო ანგარიში

|                                                                                                         |   |                                                             |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|---|-------------------------------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                                         | = | <b>ვალდებულებები + კაპიტალი</b>                             |
| <b>ძირითადი საშუალებები</b>                                                                             |   | <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                           |
| მიწა, შენობა, მანქანა-დანადგარები, ტრანსპორტი, სხვა                                                     |   | გრძელვადიანი სესხი, გაუნაწილებელი მოგება, ფასიანი ქაღალდები |
| <b>სულ: ძირითადი საშუალებები</b>                                                                        |   | <b>სულ: გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                      |
| <b>საბრუნავი საშუალებები</b>                                                                            |   | <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                              |
| ნედლეული, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, დებიტორები, წინასწარი გადახდა, საბანკო ანგარიშის ნაშთი |   | მოკლევადიანი სესხები, საგადასახადო დავალიანება              |
| <b>სულ: საბრუნავი საშუალებები</b>                                                                       |   | <b>სულ: მიმდინარე ვალდებულებები</b>                         |
